



სუთი მიზეზი, რატომ არის დემოკრატია უკეთესი

დავით აფრასიძე

1947 წელს უინსტონ ჩერჩილმა დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში წარმოთქვა ფრაზა, რომელიც დღეს, ალბათ, ყველას გვეცნობა: „დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუკი გამოვრიცხავთ ყველა იმ სხვას, რომლებსაც დროდადრო მოსინჯავენ ხოლმე“.

რამდენიმე თვის წინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც სწორედ ერთ-ერთი სხვა ფორმის, ავტორიტარიზმის, სრულყოფითა დაკავებული, თქვა, რომ „ლიბერალიზმმა თავი ამოწურა, რადგან იგი უმრავლესობის ინტერესებს უპირისპირდება“. პუტინმა სინამდვილეში სწორედ დემოკრატიაზე გაილაშქრა: დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე ფარსია, რადგან არ არსებობს უმრავლესობის ნება უმცირესობების უფლებების გარეშე. ასეთ დროს, როგორც ალექსის დე ტოკვილი იტყოდა, დგება „უმრავლესობის ტირანია“, ხოლო ტირანია შეიძლება ძალიანაც მოსწონდეს პუტინის მსგავს ლიდერს, მაგრამ ის ვერ იქნება დემოკრატია.

მოდით, გამოვყოთ სუთი მიზეზი, თუ რატომაა დემოკრატია უკეთესი, ვიდრე მმართველობის ყველა სხვა ფორმა – იქნება ეს ავტორიტარიზმი (ოლიგარქია, დიქტატურა, არასაკონსტიტუციო მონარქია და ა.შ.) თუ ტოტალიტარიზმი (ტირანიის უკიდურესი ფორმა, რომელიც სამეცნიერო წიგნებზე უფრო კარგად ჯორჯ ორუელმა აღწერა თავის რომანში „1984“). რა თქმა უნდა, მიზეზი სუთზე უფრო მეტია, მაგრამ ჩვენ შევეხებით რამდენიმე მნიშვნელოვანს, თან ისეთს, რომელიც გვაჩვენებს, თუ რატომაა დემოკრატია უკეთესი ერთი ჩვეულებრივი ადამიანისთვის, მაგალითად, შენთვის და ჩემთვის.

ალექსის და ტოკვილი (1805-1859) – ფრანგი სოციოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. ცნობილია შრომებით – „დემოკრატია ამერიკაში“ (გამოიცა ორ ტომად 1835 და 1840 წლებში) და „ძველი რეჟიმები და რევოლუცია“ (1856).



მიზანი 1

დემოკრატიის უფრო მეტი კეთილდღეობა

თვალი გადავავლოთ მსოფლიო რუკას: ორი-ოდე გამონაკლისის გარდა, დემოკრატიული ქვეყნები თან მდიდარი ქვეყნებიცაა. ნუ ვიდავებთ იმაზე (მეცნიერები ბევრს დავობენ), რომელი განაპირობებს რომელს – ეკონომიკური სიმდიდრე დემოკრატიის კარგ ხარისხს თუ პირიქით. ფაქტია, რომ იქ, სადაც ადამიანები თავისუფლად მონაწილეობენ საერთო საქმის კეთებაში, სადაც მათი უფლებები დაცულია და სამართლის წინაშე ყველა მეტ-ნაკლებად თანასწორია, ინდივიდები უფრო აქტიურობენ ეკონომიკურ სფეროში, არ ეშინიათ საკუთარი იდეების წარმოჩენის, უფრო შემოქმედებითად უდგებიან მენარმეობას და სიახლეების განხორციელებას. სხვა სიტყვებით: ღია საზოგადოებებში უფრო მეტი დინამიკაა და უფრო მეტ ადამიანს შეაქვს წვლილი საერთო საქმის წარმატებაში. მართალია, კრიზისები აქაც არსებობს, მაგრამ განახლებისა და ადაპტაციის შესაძლებლობები თავისუფალი საზოგადოების არსშია ჩადებული.



1984



BIG BROTHER IS WATCHING YOU

„1984“ – ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის ფანტასტიკური რომანი. გამოვიდა 1949 წელს. ნაწარმოები აღწერს ტოტალიტარული რეჟიმის ყოფას და მექანიზმებს.



მიზანი 2

დემოკრატიკაში პიროვნული წარმატების მესამე მუხი

ეს მიზანი ზემოთ მოყვანილს ეხმიანება. ყველამ კარგად ვიცით, რომ რეალობაში ცხოვრება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ამას წიგნებში ვკითხულობთ – ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ფიზიკური მონაცემებით (სიმაღლე, წონა, თმის, კანისა თუ თვალის ფერი და ა.შ.), არამედ საზოგადოებრივი მდგომარეობითაც, მაგალითად, ყველას არ აქვს თანაბარი შესაძლებლობა, როდესაც საქმე განათლებას ან ბიზნესსაქმიანობას ეხება – ზოგიერთს უკეთესი სასტარტო პირობები აქვს მხოლოდ იმის წყალობით, რომ უკეთესი მემკვიდრეობა ერგო. დემოკრატიული საზოგადოების უპირატესობა ისაა, რომ აქ ყველას აქვს წინსვლის შანსი და ამ თვალსაზრისით დიდ როლს სწორედ განათლების სისტემა ასრულებს. ერთი, რომ, როგორც წესი, მდიდარ ქვეყნებში უფრო ხარისხიანი განათლებაა და მეორე, რომ მისი ხელმისაწვდომობაც იქ უფროა უზრუნველყოფილი. არათავისუფალი ქვეყნები შეიძლება კი ქადაგებდნენ თანასწორობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთივე ფარსია, როგორც ამ ქვეყნების დემოკრატიულობა. ჯორჯ ორუელის თქმით, ამ ქვეყნებში „ყველა თანასწორია, მაგრამ ზოგი უფრო თანასწორია“, მაგ., საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ლიდერები და მათთან დაახლოებული პირები, რომლებსაც ნომენკლატურას უწოდებდნენ და რომლის მემკვიდრეებიც ბევრ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში დღესაც გავლენით სარგებლობენ.

ყველა თანასწორია
მაგრამ ზოგი უფრო თანასწორია





მიჯაზი 3

დემოკრატიუბში მუთია კონკურენცია, მარბამ – კონსენსუსი

ვინაიდან თავისუფალ ქვეყანაში ყველას აქვს საერთო საქმეში მონაწილეობის შესაძლებლობა, შესაბამისად, დემოკრატიუბში მუთია კონკურენციაც. კონკურენცია აუცილებელი პირობაა წინსვლისთვის ბიზნესში, ხელოვნებაში, სპორტში და, ცხადია, პოლიტიკაშიც. როდესაც ერთი პოლიტიკური ძალა დიდი ხნის მანძილზე ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას (პარლამენტს, მთავრობას, რეგიონებს, ადგილობრივ თვითმმართველობას), ამას გარდაუვლად მოჰყვება შეცდომები და დაკნინება. ასევე გარდაუვალია უკმაყოფილო ძალისა თუ ძალების გაჩენა, რომლებიც თავის ადგილს ვერ იმკვიდრებენ და ყოველი შესაძლებლობისას ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მმართველ ჯგუფს და შეიძლება ამას ქვეყანაც ზედ გადაეყოს. სხვა სიტყვებით, კონკურენცია ბუნების კანონია, მას ვერავინ აირიდებს თავიდან და მმართველისვე ინტერესებშია, რომ ძალაუფლება არა მონოპოლიზებული, არამედ გაზიარებული იყოს. ასეთ დროს ქვეყნის მთავრობაში მყოფი პარტია ქვეყნის რომელიღაც ნაწილში შეიძლება ოპოზიციის როლში იყოს, ხოლო მთავრობის ოპოზიცია კი უმრავლესობას წარმოადგენდეს. ასეთ დროს მმართველი პარტიაც და მისი ოპოზიციაც უფრო წინდახედული და ზომიერია, რადგან ხელისუფლება არა ერთპიროვნული და მოკლევადიანი, არამედ გაზიარებული და უფრო სტაბილურია. სხვაგვარად – კონკურენცია არის კონსენსუსის საფუძველი და არა ერთპიროვნულობა.






მიზანი 4

დემოკრატიკაში უზრუნველყოფა „მოსულა“

არადემოკრატიული მმართველობა შეიძლება, ერთი შეხედვით, ძალიან ეფექტურად გამოიყურებოდეს და მისი ლიდერი ყოველს შემძლებობასა და ზებუნებრიობასაც კი ასხივებდეს. სინამდვილეში, ასეთი მმართველობა ყოველთვის ძალიან მყიფეა და კრიზისიდან კრიზისამდე ცხოვრობს. მას სულ სჭირდება რაიმე პრობლემა, მაგალითად, მტრების დევნა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ (იხ. მიზანი 5), რომ საკუთარი უძლევლობის მითიც კვებოს და რეალური პრობლემებიც სხვას გადააბრალლოს. მაგრამ თუ ერთ-ერთი ასეთი კრიზისი მარცხით დასრულდა, მაშინ ლიდერი მისი მმართველობიან-მიმდევრებიანად წამსვე ნაცარტუტად იქცევა. რა თქმა უნდა, ისტორია იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ასეთი რეჟიმები წლობით და ათწლეულობით აგრძელებენ არსებობას, მაგრამ, როგორც წესი, რაც უფრო ხანგრძლივი და სასტიკია მმართველობა, მით უფრო მძიმე და შეუქცევადია მისი აღსასრული. როგორც წესი, „უძლეველ ლიდერს“ ყველაზე მეტ წიხლს მისი ყოფილი უახლოესი მიმდევრები უთავაზებენ ხოლმე. სამწუხარო კი ისაა, რომ ამგვარ მარცხს შეიძლება ხშირად ქვეყანაც თან გადაჰყვეს. დემოკრატიებს კი უფრო მეტი იმუნიტეტი აქვთ კრიზისების დროს – იმიტომ, რომ შეცდომებზე პასუხისმგებლობა გაზიარებულია პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებაში. მთავარი „დამნაშავე“ შეიძლება თანამდებობიდან გადადგეს ან უფრო მკაცრადაც აგოს პასუხი, მაგრამ ეს არც მისი და, მით უფრო, ქვეყნის სასიკვდილო განაჩენი არ იქნება.



მიჯაზი 5

დემოკრატიული უფრო მშვიდობიანია შიშით და ბაჩით

დემოკრატიებში ბევრი ხმა ისმის ერთად და ეს კაკაფონია ხშირად შეიძლება გულის შემანუხებელიც იყოს. ავტორიტარიზმში კი მხოლოდ ერთადერთი ხმაა მკაფიო. თუმცა, საჭირო დროს სწორედ კაკაფონი-იდან ამოიზრდება სიმფონია, ხოლო ერთი ხმის შემთხვევაში არავინ იცის, როდის ჩაახშობს მას სხვა, მასზე უფრო ძლიერი. დემოკრატიებში მუდმივადაა პატარ-პატარა კამათი სხვადასხვა საკითხზე. სწორედ ამიტომ აქ ორთქლი ყოველთვის გარეთ გამოდის, როგორც წყლის დუღილისას ნახვრეტის ჩაიდნიდან. მმართველობის ყველა სხვა ფორმა კი მჭიდროდ დახუფულ ჭურჭელს წააგავს, რომელიც დუღილს საგულდაგულოდ მალავს, მაგრამ ვერ ახშობს და არავინ უწყის, თუ როდის ამოხეთქავს ეს ენერჯია და მოსპობს ჭურჭელსაც და მის შიგთავსსაც. დემოკრატიები უფრო მშვიდობიანი და სტაბილურია ერთი ჩვეულებრივი ადამიანისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატია არასდროს დასჭირდება დაცვა (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეზობელი არაა დემოკრატია), მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკუთარი ქვეყნისთვის ბრძოლა უფრო გააზრებულცივა და ასევე ნაკლები ალბათობით უკავშირდება ძლიერი ლიდერის ამბიციების დაკმაყოფილებას.



ის, რასაც დღეს ჩვენს ირგვლივ ვხედავთ და არ მოგვწონს, დემოკრატიის ბრალი კი არაა, არამედ მისი ნაკლებობის... ალბათ, დასაწყისში უნდა განგვემარტა, თუ რას ვგულისხმობდით დემოკრატიაში. ამიტომ მოდი, ისევ ჩერჩილის სიტყვებით დავასრულოთ: „როგორ უნდა განვმარტოთ სიტყვა „დემოკრატია“? ჩემი აზრით, ესაა ერთი თავმდაბალი, ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალოდ, ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც უვლის საკუთარ ოჯახს, რომელიც მიდის საკუთარი ქვეყნისთვის საბრძოლველად, როდესაც ამის საჭიროება დგება, ხოლო გარკვეულ დროს იგი მიდის საარჩევნო უბანზე და საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავს იმ კანდიდატს, რომელიც მას სურს აირჩიოს პარლამენტში. სწორედ ეს ადამიანია დემოკრატიის საფუძველი... და აუცილებელია, რომ ამ კაცმა თუ ქალმა ეს გააკეთოს შიშის გარეშე, მუქარისა და დევნის გარეშე... ის თავის არჩევანს ბიულეტენში საიდუმლოდ მონიშნავს, შემდეგ კი არჩეული წარმომადგენლები ერთად წყვეტენ, თუ ვინ იყოს მთავრობაში, ხოლო კრიზისების დროს – საერთოდ რა ფორმა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას მათ ქვეყანაში. თუკი ესაა დემოკრატია, მე მივესალმები მას. მე მხარს ვუჭერ მას. მე ვიპრობებდი ამისთვის“.